ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2018 წლის იანვრიდან აგვისტოს თვემდე ჩათვლით კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

მოგახსენებთ, რომ საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია ხელმძღვანელობს 2018 წლის დამტკიცებული გეგმის მიხედვით. წლის განვლილ პერიოდში კომისიის არცერთი სხდომა არ ჩავარდნილა ქვორუმის არ ქონის გამო. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ჩატარებული გვაქვს 9 სხდომა და 3 გაერთიანებული კომისიების სხდომა, რომელ სხდომებზეც განვიხილეთ, მოვისმინეთ და დავგეგმეთ ჩვენი სოციალური მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებები.

კომისიაში არსებობს ორი ქვეკომისია: სოციალური მიმართულებით მოქმედი ჯგუფი და ჯანდაცვის მიმართულებით მომუშავე ჯგუფი. კომისიის ორი წევრი ქ.ნი ეკა შველიძე და ბატონი თეიმურაზ ფცქიალაძე მივლინებული არიან მერიის შესაბამის კომისიაში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათი მუშაობა ერთჯერადი ფინანსური დახმარების დაუფიფანსებლობის გამო მცირეა. უნდა აღინიშნოს, რომ ერთჯერადი დახმარება საანგარიშო პერიოდში გაიცა ორჯერ. ისიც გამონაკლის შემთხვევაში (ჩასასვენებლის შესაძენად).

ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტში სოციალური დაცვის მიმართულებით მოქმედებს 6 ძირითადი და 17 ქვეპროგრამა.

მიმდინარე წლის იანვარ-ივლისში სოციალურ მიმართულებაზე დაიხარჯა 313 210 ლარი, სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია 1021 ბენეფიციარს, მათ შორის: სამედიცინო კვლევებისა და მომსახურებისათვის 348 ბენეფიციარს გაეწია დახმარება 144,720 ლარით. მედიკამენტების შესაძენად დახმარება გაეწია 155 მოქალაქეს, თანხით 33,242 ლარი.

C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვისთვის საჭირო კვლევების დასაფინანსებლად დახმარება გაეწია 9 მოქალაქეს 2016 ლარი სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების 1-ლი კატეგორიის მქონე 14 ოჯახს გაეწია დახმარება 20 050 ლარის ოდენობით (მათ შორის: ხანძრის შედეგად დაზარალებული 4 ოჯახი, სხვა ბუნებრივი მოვლენის შედეგად დაზარალებული 5 ოჯახი, სიძველის შედეგად დანგრეული 5 ოჯახი).

მერიის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი იქნა 10 000 ლარი და ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთულის სოფ.წიფში მცხოვრებ პაატა შველიძის მრავალსულიანი ოჯახისათვის შეძენილი იქნა კაპიტალური სახლი. აღსანიშნავია,

რომ მერიის შესაბამისი სამსახური მზად არის, რომ ლეღვნის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. მარელისში მცხოვრებ ლორთქიფანიძეების ოჯახსაც შეუძინოს სახლი.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მომსახურებას უწევს 14 სასოფლო ამბულატორია, სულ 18 ექიმი და 19 ექთანი.

ა(ა)ი.პ სათნოების სახლში, დღეის მდგომარეობით უფასო სადილს იღებს 73 ბენეფიციარი. მათ რიცხვში არის სოციალურად დაუცველები, მზრუნველობამოკლებული მოხუცები, ინვალიდები და მრავალშვილიანი ოჯახები. კვება არის ერთჯერადი, კვირაში 6 დღე სადღესასწაულო დღეების ჩათვლით. მიმდინარე წლის 7 თვეში სათნოების სახლს ბენეფიციარების კვებაზე გაწეული აქვს 16.712 ლარი. საშუალოდ ერთი კალენდარული დღე შეადგენს 1,50 ლარს. ბენეფიციართა კვებასთან ერთად უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს სასადილო ეხმარება საკვები პროდუქტით და ამ მიმართულებით 25 ოჯახისთვის გაწეული დახმარება შეადგენს 1235 ლარს.

კომისიამ მოისმინა სურსათის უვნებლობის სამსახურის ინფორმაცია რაიონის ტერიტორიაზე რძისა და რძისპროდუქტების, ხორცისა და ხორცპროდუქტების უვნებლობის შესახებ. მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიტ საანგარიშო პერიოდში რძის პროდუქტებისა და ხორცის მოხმარება აბსოლიტურად უსაფრთხოა.

კომისია გარკვეული მუშაობას ეწევა იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმნარებლად. კერძოდ ვუწევთ მათ შუამდგომლობას სხვადასხვა სამსახურებთან. დევნილები ჩართულნი არიან მუნიციპალიტეტში მოქმედ ყველა სოციალურ პროგრამაში. უკიდურესად გაჭირვებული დევნილი ოჯახებს ჩვენი შუამდგომლობით ეწევათ დახმარება საშენ მასალით.

როგორც, თქვენთვისაა ცნობილი, ცენტრალური ბიბლიოთეკის ბაზაზე მოქმედებდა უსინათლოებისათვის ბრაილის შრიფტით შემსწავლელი კურსები, რისთვისაც გამოყოფილი იყო 7000 ლარი. სწავლება გათვლილი იყო 5 თვეზე. ბენეფიციარები კმაყოფილი არიან სწავლებით, თუმცა აუცილებელია სწავლების გაგრძელება, რის იმედსაც გვაძლევს მერიის შესაბამისი სამსახური. როგორც ჩვენთვის ცნობილია სწავლება გაგრძელდება სექტემბრის თვიდან.

მიმდინარე წლის 7 თვეში მოქალაქეების მიერ შემოტანილია 1196 განცხადება, აქედან სამედიცინო კვლევასა და მომსახურებაზე გაცემულია 432 ადმინისტრაციული დაპირება, თანხით 196685 ლარი. მედიკამენტებზე შემოსულია 163 განცხადება დაკმაყოფილებულია 155 განცხადება. ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე შემოსულია 208 განცახდება დაკმაყოფილებულია, როგორც ზემოთ აღვნიშნე ორი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სოციალური
საკითხთა კომისიის [illegible]